

2025-2026 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის

შესრულების მონიტორინგი/შუალედური ანგარიში

2025 სასწავლო წლიდან დაწესებულებამ საქმიანობა განაგრძო მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში დამტკიცებული (და არა მხოლოდ) ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით. წინამდებარე ანგარიშით წარმოგიდგენთ იმ მონიტორინგის შედეგებს, რაც გამოვლინდა ზემოთ ხსენებული გეგმის შესრულების მიმდინარე ეტაპზე. ვინაიდან არსებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა სრულდება 2025 წლის ბოლოსათვის, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმები ემთხვევა სასწავლო წელს და კოლეჯი იმყოფება ახალი სტრატეგიული (7 წლიანი) განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში (2026-2032 წწ.), დადგა საჭიროება დეკემბრის ბოლომდე მომხდარიყო იმ შედეგების ანალიზის გაკეთება, რაც აქვს კოლეჯს ამ ეტაპზე, რათა თითოეული საკითხი გათვალისწინებული იყოს ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში. მიმდინარე ანგარიშში წარმოგიდგენთ სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2025-2026 წლების) ამოცანების/აქტივობების განხორციელების გადამოწმების ფარგლებში, თუ რა აქტივობებია დღეისათვის შესრულებული ან შესრულების პროცესში, რომელი მათგანი შესრულდა/ვერ შესრულდა გეგმით გაწერილი დროის შუალედში; მონიტორინგის ფარგლებში, შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგინეს მათ მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილი ამოცანების შესრულების შესახებ ამჟამინდელი მდგომარეობის თაობაზე ანგარიშები. წინამდებარე შუალედური ანგარიში ეყრდნობა როგორც მათ მიერ წარმოდგენილ და მითითებულ მტკიცებულებათა გადამოწმებას, ინტერვიუს შედეგებს, აგრეთვე, მიმდინარეობის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგს, შექმნილ დოკუმენტაციასა და ვებ-გვერდსა თუ სოციალურ ქსელებში განთავსებულ მტკიცებულებებს.

დასაქმების ბაზარზე ახალი მოთხოვნების გამოვლენის ფარგლებში გაწერილი არის სამი აქტივობა, რომელთაგან გამომდინარე კოლეჯში არსებული პროგრამები კვლავ მოთხოვნად პროფესიებად რჩება შრომის ბაზარზე, რასაც მოწმობს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით; დაწესებულება კვლავ მოლოდინის რეჟიმშია თუ რა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები იქნება დამტკიცებული პროფესიული უნარების სააგენტოს ჩართულობით, რომლებიც იქნება პრიორიტეტული კოლეჯისათვის, რათა დაიმატოს ან/და არსებულის ადაპტირება მოახდინოს, ქვოტის გაზრდით.

შემდეგი სტრატეგიული მიზნის ფარგლებში გაწერილ ამოცანაზე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარება პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში, შეფასებასა და განვითარებაში, მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენი დაწესებულების წარმომადგენლები ჩართულნი არიან არსებული პროგრამების გადამუშავების პროცესში პარტნიორ დაწესებულებებთან ერთად, სადაც ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პარტნიორ ორგანიზაციათა უკუკავშირის შედეგებს. გარდა ამისა, კოლეჯიდან მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის კითხვარების დაგზავნა, ინტერვიუება და მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება პროგრამათა შემდგომი განვითარების მიზნით. დაწესებულების კატალოგი განახლებული სახით განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე, რაც ასევე გადამოწმდა ჩემ მიერ. შემდგომი ამოცანის ფარგლებში - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება, გამოვლენილია საჭიროება ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა, მაგრამ აქაც განვმეორდები, რომ ამ დროისათვის კვლავ მიმდინარეობს არსებული ჩარჩო დოკუმენტების გადახედვა და ახლების დამტკიცება, დაწესებულება კვლავ რჩება მოლოდინის რეჟიმში, საჭიროება კი დამდგარია კოლეჯის მდგრადობის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით. ქვოტის გაზრდა მიმდინარე სასწავლო წლისათვის პროგრამებზე აღარ მომხდარა.

სწავლა/სწავლების არსებული მეთოდების გაუმჯობესების მიზნით მონიტორინგის ფარგლებში პირისპირი სწავლების დროს კვლავაც ვახორციელებდი სხვადასხვა სალექციო მეცადინეობებზე დასწრებას და დაკვირვებას თუ რამდენად ეფექტურია პირისპირი სწავლება, რამდენად მრავალეროვან მეთოდებს იყენებენ განმახორციელებელი პირები სტუდენტთა მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ამ ეტაპისათვის, როგორც გამოკითხულ პირთაგან (მასწავლებლების, სტუდენტების), აგრეთვე განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ პირისპირ სწავლების რეჟიმი პრიორიტეტულია, თუმცა დაწესებულება მუშაობს, რათა სამომავლოდ იყოს შესაძლებლობა არჩევანისა, ონლაინ/ჰიბრიდული თუ პირისპირი სწავლებიდან გადაწყვიტოს სტუდენტმა კოლეჯში მისთვის შეთავაზებულთაგან რა ფორმით ჩაერთოს თეორიულ მეცადინეობებში. რაც შეეხება უშუალოდ მეთოდების გაუმჯობესებას, ამ ფარგლებში აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ მონაწილეობა მიიღო მასწავლებელთა შეფასების პილოტირებაში, რომლის ფარგლებში შერჩეულმა პირებმა თვითშეფასებაც გააკეთეს, გამოვლენილი შედეგებით, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ გაწერილია გეგმა-გრაფიკი, თუ რა აქტივობა როდის უნდა შესრულდეს, რათა სწავლების მეთოდებიც გაუმჯობესებული იყოს სხვა, გამოვლენილ საჭიროებებთან ერთად.

ადამიანური რესურსის მართვის მექანიზმის გაუმჯობესების ფარგლებში გაწერილია სხვადასხვა ტიპის აქტივობები; ადამიანური რესურსი კვლავ განახლებული და შევსებულია კვალიფიციური კადრებით, დაცულია მდგრადობა. საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის ანგარიშის მიხედვით, ასევე ჩემი მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული გასაუბრებებისა და სხვადასხვა კადრების აყვანის შედეგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კვლავაც საგრძნობლად

გაიზარდა განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, დასაქმდნენ მაღალკვალიფიციური კანდიდატები, რომელთაგან ნაწილი უკვე ახორციელებს სწავლებას ჯგუფებში. ახალ თანამშრომლებთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები და მოწესრიგებულია მათი პირადი საქმეები. გადახედვის და ადაპტირების პროცესშია არსებული რეგულაციები, ვინაიდან 2026 წლიდან ძალაში შედის მასწავლებლის ახალი სტანდარტი და მასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებზე მორგება უნდა მოახდინოს კოლეჯმა შიდა რეგულაციებისა.

ადამიანური რესურსის მუდმივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა - კოლეჯის დახმარებით მოხდა თანამშრომელთა ჩართვა ტრენინგების ციკლში ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით. განხილული იქნა ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტი, პროცესში ჩართული იყვნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები. ასევე, უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ დაწესებულების თანამშრომლები, გაწევრიანდნენ კერძო კოლეჯების ასოციაციის ფარგლებში ჩამოყალიბებულ კომიტეტებში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ შეხვედრებში. ადამიანური რესურსის განვითარება უზრუნველყოფილია როგორც გარე წყაროების მხარდაჭერით ორგანიზებულ ღონისძიებებში მათი ჩართვით, აგრეთვე, კოლეჯის ინიციატივითა და ხარჯებით განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეობით. გარდა ამისა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, დაწესებულებამ წარმატებით განახორციელა მასწავლებელთა შეფასების პილოტირება და შესაბამისი პრეზენტაციაც ჩატარდა საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ, სკკა-ს ორგანიზებულ შეხვედრაზე, სადაც დამსწრე პირებს გააცნო მიღებული შედეგები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, რათა მომდევნო თვეებისათვის განხორციელდეს ტრენინგები მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გამოვლენილ თემებზე. თითოეული პირი მუდამ გამოთქვამს მზადყოფნას სხვადასხვა ტრენინგებით აიმაღლონ კვალიფიკაცია, ჩაერთონ მსგავს პროცესში და ფეხი აუწყონ სიახლეებს.

ინფორმაციული საკომუნიკაციო არხების შექმნა და მუდმივი განახლება - დაწესებულების ვებ-გვერდზე მუდმივად იდება ინფორმაცია კოლეჯში არსებული აქტივობების, დაგეგმილი ღონისძიებებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ, აგრეთვე, აქტიურია დაწესებულების ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია. სიახლეები ატვირთულია facebook და instagram გვერდებზე, ამაზე მეტყველებს გააქტიურებული აუდიტორია და მათი ჩართულობაც კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებში. დაწესებულების დოკუმენტაციაში ცვლილებების გატარების შემდგომ საიტზე განთავსებულია განახლებული ვერსიები. შესასრულებელ აქტივობაში დამატებულია ახალი საკომუნიკაციო არხის შექმნა, რომელიც ამ დროისათვის ჯერ არ შესრულებულა.

ამ ეტაპისათვის, მიმდინარე სასწავლო წელს ინფრასტრუქტურის რაიმე მნიშვნელოვანი სახით განახლება არ მომხდარა, აღნიშნული ნაწილობრივ განხორციელდა წინა სასწავლო წლისათვის და ამ ეტაპზე მიმდინარეობს საჭიროებების გამოვლენა, უკუკავშირის მიღების გზით. ახალი მიღებების ფარგლებში მოხდა მათთვის IT მენეჯერის მიერ საჭირო საკომუნიკაციო არხების გაცნობა, მათთან მარტივად საკომუნიკაციოდ კი messenger ჯგუფების გაკეთება/გაწევრიანება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის ინიციატივით, სადაც ხდება საჭირო ინფორმაციის, სიახლის, სასწავლო რესურსის მარტივად გაზიარება. კოლეჯისაგან შექმნილია დახურული ჯგუფი, სადაც გაწევრიანებული არიან როგორც აქტიური სტუდენტები, აგრეთვე კურსდამთავრებულები, რომლებსაც ეგზავნებათ არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია, პარტნიორი (და არა მხოლოდ) ორგანიზაციების ჩართულობით, ჯგუფში მოხდა ახალი სტუდენტების დამატებაც.

პროფესიული სტუდენტებისთვის ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელების მხრივ ისინი ინფორმირებულნი არიან კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ, რომ დაწესებულების მხრიდან მხარდაჭერილი იქნება სხვადასხვა სახის ინიციატივები. მიმდინარე სასწავლო წლისათვის ჯერ-ჯერობით მომართვიანობა არ ყოფილა, რა მიმართულებითაც საჭიროა აქტიურობის გაზრდა. კარიერული წინსვლა მუდმივად ხელშეწყობილია. კოლეჯს სხვადასხვა ორგანიზაციები, პოტენციური დამსაქმებლები უკავშირდებიან მათთან არსებული ვაკანსიების შესახებ კადრების მოძიების მიზნით, რა ინფორმაციაც დაუყოვნებლივ ეწოდებათ კურსდამთავრებულებს, აგრეთვე სტუდენტებს, განხორციელდა მიმდინარე სასწავლო წელს მათთან შეხვედრაც. რაც შეეხება სტუდენტურ ღონისძიებებს, კოლეჯის მიერ მიმდინარე სასწავლო წელს ორგანიზებული იყო დიპლომების გადაცემის ცერემონიალი, სტუდენტების მიერ ჩატარდა რამოდენიმე შემეცნებითი ხასიათის ღონისძიება, სადაც პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს დამუშავებული თემები განვლილი მოდულების ფარგლებში, აღსანიშნავია აქტივობა „შებრუნებული კლასის პრინციპი“. ახალი მიღებების ფარგლებში მოეწყო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, სტუდენტები დასაჩუქრდნენ სხვადასხვა საჩუქრებით. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის მოეწყო შეხვედრა პარტნიორი ორგანიზაციის „ავერსი ფარმა“-ს წარმომადგენლებთან, მათი სამომავლოდ დასაქმების მიზნით. შესაბამისად, დაკავშირებული ფოტო მასალები განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში.

საბიბლიოთეკო ფონდი ამ ეტაპისთვის არ განახლებულა, ვინაიდან შევსებული იყო არსებული პროგრამების ფარგლებში ყველა საჭირო სასწავლო რესურსით. პროფორიენტაციის მექანიზმების განვითარება, აბიტურიენტთა მოზიდვის მექანიზმების შექმნა (ღია კარის დღეები; ვიზიტები სკოლაში; კამპანია მასმედის მეშვეობით) - აღნიშნული ამოცანის ფარგლებში გასვლითი ან/და ადგილზე განხორციელებული შეხვედრები დამამთავრებელი კლასის სკოლის მოსწავლეებთან ამ ეტაპზე ჯერ არ განხორციელებულა, ამ აქტივობის ჩატარება უფრო

პრიორიტეტულია ახალი მიღებების გამოცხადების დროს, რათა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოს, თუმცა დასაშვებია სასწავლო წლის ნებისმიერ ეტაპზე განხორციელდეს. ჩასარიცხ პირთა მოზიდვის მიზნით წინა წელს განხორციელდა მიღებების რეკლამირება facebook სოციალური არხის საშუალებით, რის შედეგადაც ჩარიცხულმა პირებმა ახალი სასწავლო წლის 15 სექტემბრიდან დაიწყეს სწავლა. ვინაიდან ქვოტა თითქმის შევსებული იყო, აღარ გამოცხადდა საშემოდგომო მიღება. მუდმივად განხორციელებადი პროცესია კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან ინფორმაციის მასობრივი საშუალებების, მათ შორის ვებ-გვერდისა და სოციალური მედიის მეშვეობით, დაწესებულების ელ. ფოსტასა თუ სოციალურ ქსელებში შემოსულ შეტყობინებებზე ხდება დაუყოვნებლივ პასუხის გაცემა მათთვის საინტერესო თემებთან დაკავშირებით, რომელიც კავშირშია კოლეჯის საქმიანობასთან.

რაც შეეხება საერთაშორისო თუ შიდა დონეზე პარტნიორთა წრის გაფართოებას, ამ დროისათვის ფართოვდება პარტნიორობა ქვეყნის შიგნით არსებულ ორგანიზაციებთან, მაგრამ საერთაშორისო დონეზე აღნიშნული მიმართულებით ცვლილება არ გვაქვს.

საბოლოო ჯამში, პასუხისმგებელ პირთაგან მიღებული ანგარიშების, გამოკითხულ პირთა უკუკავშირის, არსებული მტკიცებულებებისა და განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, შეიძლება ითქვას, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობებიდან უმეტესი ნაწილი შესრულების პროცესშია, ამ ეტაპისათვის რაც უნდა შესრულებულიყო - შესრულდა; არსებობს ამოცანები, რომლებიც ჯერჯერობით არ შესრულებულა და რეკომენდირებულია ამ მიმართულებით გაიზარდოს შესაბამის პასუხისმგებელ პირთა მუშაობა. წარმოდგენილი მონიტორინგის შუალედური ანგარიშისა და პასუხისმგებელ პირთა ანგარიშები გამოყენებული უნდა იყოს თუნდაც ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის დაგეგმარების პროცესში და მოხდეს იმ ამოცანათა განსაზღვრა, რაც პრიორიტეტულია დაწესებულებისათვის, ხოლო რაც შეეხება არსებულ ერთწლიან სამოქმედო გეგმას, უნდა მოხდეს მისი ცვლილება მას შემდეგ, რაც დამტკიცდება ახალი სტრატეგიული განვითარების (7 წლიანი) გეგმა 2026-2032 წლებისათვის, რათა მორგებული იყოს 2026 წლისათვის გაწერილ ამოცანებზე და განისაზღვროს შესაბამისი აქტივობები, თანხვედრის შემთხვევაში კი დარჩეს არსებული. თითოეული პასუხისმგებელი თუ მონაწილე პირი, რეკომენდირებულია, აქტიურად ჩაეთოს ყველა ამოცანის შესრულების პროცესში, რათა დაწესებულებამ აიმაღლოს სტატუსი ბაზარზე, შიდა თუ საერთაშორისო დონეზე.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი:

თ. ჭუმბაძე

16.12.2025